ფორმალინი 37.3% – ძლიერი სადეზინფექციო საშუალება ტექნიკური გამოყენებისთვის

მოკლე აღწერა:
ფორმალინი 37.3% არის მძლავრი სადეზინფექციო ხსნარი, რომელსაც გააჩნია ანტიმიკრობული მოქმედების ფართო სპექტრი. ეფექტურია ბაქტერიების, სოკოებისა და ვირუსების წინააღმდეგ, მათ შორის პასტერელა, სალმონელა, ეშერიხია კოლი, სტრეპტოკოკები, სტაფილოკოკები და ტუბერკულოზის მიკობაქტერიები.

მთავარი უპირატესობები:
ეფექტური დეზინფექცია – ანადგურებს ბაქტერიებს, სოკოებსა და ვირუსებს.
მრავალმხრივი გამოყენება – გამოიყენება შენობების, წარმოება-დაწესებულებების ცხოველების სადგომების, ინკუბატორების, საფრინველის და სხვა სივრცეების დეზინფექციისათვის. ასევე ჩლიქის სიდამპლის დროს კიდურების დასამუშავებლად.

გამოშვების ფორმა: 1ლ და 5ლ პლასტმასის ბოთლი

გამოყენება და დოზირება:

შესხურებისთვის – 1ლ ფორმალინი იხსნება 20ლ წყალში.
დაბოლებისთვის – 1ლ ფორმალინი იხსნება 1ლ წყალში და სრულად ორთქლდება ჰერმეტულად დახურულ სივრცეში.

სიფრთხილის ზომები:

- არ მიიღოთ შიგნით. მოერიდეთ თვალებთან და კანის კონტაქტს.
- შეინახეთ უსაფრთხოდ, გრილ და ვენტილირებად ადგილას, საკვებისა და სასმელიდან მოშორებით.

შენახვის ვადა: 2 წელი
სამუშაო ხსნარი მხოლოდ გამოყენების წინ უნდა მომზადდეს და შენახვა დაუშვებელია.

მწარმოებელი: ბიოტეკსი, საქართველო